



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №101

2011 წლის 16 აგვისტო
ქალაქი ხაშური

„ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №138 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №138 განკარგულების №1 დანართის შესაბამისად დამტკიცებულ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებების გეგმაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულების №1 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და შეიცვალოს ახალი №1 დანართით.
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. №2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე



როსტომ გრიგალაშვილი